MES 3 21 0001220325

12/11/2021

საგანმანათლებლოპროგრამებისაკრედიტაციისსაბჭოს
სხდომისოქმი

ქ. თბილისი
სხდომისთარიღი: 29.10.2021
სხდომისდაწყებისდრო: 15:00 სთ
სხდომისდასრულებისდრო: 21:45 სთ
საბჭოსთავმჯდომარე: ნათიაზედგინიძე-ჯიშკარიანი
საბჭოსმდივანი: მარიამ შენგელია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლოპროგრამებისაკრედიტაციის (შემდგომშისაბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნათიაზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინოიმნაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **მარიამშენგელია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **გაიანესიმონია** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;

5. **ელენეჟურავლოვა -** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
6. **ნინოჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
7. **გაიოზფარცხალაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
8. **ელიზბარელიზბარაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
9. **ნიკათიკანაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
10. **გიორგიღაღანიძე -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
11. **დავითკაპანაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
12. **დიანამჭედლიშვილი -** შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
13. **ეკატერინენაცვლიშვილი -** შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
14. **თეონამატარაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
15. **მაკაკაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
16. **ნინოინასარიძე** - "CNFA საქართველოს" გარემოს დაცვის მენეჯერი.
17. **თამარ ჩხეიძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

სხდომაზედამსწრეპირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომ ადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	შოთა კეჟერაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კორდინატორი
3	ლაშა მარგიშვილი	დირექტორის მოადგილე

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1	მირანდა მნაცაკანიანი	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
2	მანუჩარ ჩიქოვანი		საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის "ქიმია" ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	I
3	ნინო კახიძე		ასოცირებული პროფესორი	I
4	მადონა სამხარაძე		ასოცირებული პროფესორი	I
5	ვლადიმერ ღლონტი	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
6	ლელა თურმანიძე		ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანი	II
7	ნანი მამულაძე		ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
8	ნანა მაკარაძე		პროგრამის ხელმძღვანელი	II
9	მადონა მიქელაძე		პროგრამის სამუშაო ჯგუფის წევრი, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი,	II
10	ნათია გოცაძე	შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი ალტერბრიჯი	რექტორი	III
11	მარიამ დარბაიძე		ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ვიცე-რექტორი	III
12	თეონა მაისურაძე		პროგრამის ხელმძღვანელი	III
13	მაკო ჯაოშვილი		ვიცე-რექტორი	III
14	თეა ლორთქიფანიძე		სკოლის დეკანი	III
15	ნინო არჯევანიშვილი		იურიდიული სამსახურის მენეჯერი	III
15	სოფო სუპატაშვილი		ფინანსური სამსახურის ხელმძღვანელი	III

საგანმანათლებლო დაწესებულები წარმომადგენლები
აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაციაელექტრონული საშუალებითმონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ნინო პატარაია	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ნათია ოჩხიკიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	მამუკა მაისურაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	თამარ ხასიტაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	მიხეილ გიორგაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	ნინო ზარნაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	ქრისტინე ჩიხლაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	სოფიკო შარაბაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
10	ნინო ჩიკვაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
12	ვასილ კიკუტაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
13	ნათია დაღეიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
14	სოფიო უგრეხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
15	თამარ თავხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქიმიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "განათლების ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მიერ სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგი სცვლილებასთან დაკავშირებით
კი

საბჭოს თავმჯდომარის შუამდგომლობის საფძველზეე შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მიერ სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა გადატანილ იქნა მომდევნო საბჭოზე განსახილველად.

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქიმიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "განათლების ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

1.პირველისაკითხი : სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქიმიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქიმია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	ავტორიზებული
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ქიმია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ქიმიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0531-ქიმია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თამარ მეფის ქუჩაNo59, ქუთაისი, სასწავლო კორპუსი N4, 4600, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოსწევრ(ებ)ისაცილება
√ არა

საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აღნიშნული პროგრამის რეაკრედიტაციის მიზნით, ექსპერტთა გუნდი გაეცნო დაწესებულების მხრიდან წარდგენილ დოკუმენტაციას. აკრედიტაციის ვიზიტის განხორციელებამდე შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წინამოსამზადებელი შეხვედრა ZOOM პლატფორმის გამოყენებით, სადაც განხილული იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი მასალების შინაარსი. შეხვედრის ფარგლებში, მოხდა ფუნქცია-მოვალეობების გადანაწილება და სააკრედიტაციო ვიზიტის დღის წესრიგში სესიების მიხედვით დასასმელი კითხვების დაზუსტება. აკრედიტაციის ვიზიტი წარიმართა ონლაინ რეჟიმში. ჩატარდა ინტერვიუები დაწესებულების წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან. პოტენციურ და არსებულ დამსაქმებლებთან.
ასევე, განხორციელდა მატერიალურ ტექნიკური ბაზის დათვალიერება ონლაინ რეჟიმში. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა სახელმძღვანელოების/სასწავლო მასალის ხელმისაწვდომობა ბიბლიოთეკაში. ინტერვიუები განხორციელდა სამუშაო გარემოში ეთიკური ნორმების სრული დაცვით; ექსპერტთა ჯგუფი ხელმძღვანელობდა აკრედიტაციის სტანდარტების აღწერილობით/შეფასების კრიტერიუმებით კითხვების დასმის პროცესს, რათა მიეღო ამომწურავი ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლების მხრიდან, პროგრამის სტანდარტების შესაბამისად ფუნქციონირებაზე. დასკვნის პროექტი უსდ-ს წარმომადგენლებთან გაიგზავნა დადგენილ ვადებში, რომლის შემდეგაც მიღებული იქნა მათი მხრიდან არგუმენტირებული პოზიცია. უნდა აღინიშნოს, რომ უსდ-მ რეკომენდაციების თითქმის სრული ნაწილი გაითვალისწინა და გარკვეული ცვლილებებიც უკვე განახორციელა წარმოდგენილი რეკომენდაციების საფუძველზე, თუმცა ბუნებრივია ვიზიტის შემდეგ განხორციელებული ცვლილებები დასკვნის საბოლოო ნაწილზე ვერ აისახება. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებისა და უსდ-ს მხრიდან წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის გათვალისწინებით გაცემული რეკომენდაციები და რჩევები დარჩა უცვლელი.
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქიმიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველისტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორესტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამესტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხესტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთესტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთაჯგუფისთავმჯდომარემსაბჭოსგააცნოდასკვნაშიდაფიქსირებულირეკომენდაციები:

1. გადაიხედოს პროგრამის მიზნების ფორმულირება ნაკლები დეტალიზაციის და მეტი განზოგადებულობის მიმართულებით
2. გადაიხედოს კურიკულუმის რუკა სასწავლო კურსების კონკრეტული სწავლის შედეგის უზრუნველყოფის დონის განსაზღვრის მიხედვით
3. გაიზარდოს „დამოუკიდებლობასა და ავტონომიურობის“ შემადგენელი სწავლის შედეგების განმსაზღვრელი სასწავლო კურსების რაოდენობა მათი შინაარსისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით
4. გადაიხედოს minor პროგრამის სწავლის შედეგები და გახდეს ის უფრო რეალისტური
5. გადაიხედოს სასწავლო კურსების თავისუფალ კომპონენტად მიკუთვნების საკითხი;
6. გადაიხედოს რიგი სასწავლო კურსების დაშვების პირობები
7. სილაბუსებში მნიშვნელოვნად გადასახედია და მეტად გასათვალისწინებელია საგნის სპეციფიკა, როგორც შეფასების ისე ფორმატის გათვალისწინებით. კერძოდ მნიშვნელოვნად შესაცვლელია ზოგიერთი საგნის სილაბუსებში ლაბორატორიული მეცადინეობისათვის კვირაში დათმობილი საათების ხანგრძლივობა და ამოცანები. აუცილებელია მოხდეს, საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით, არსებული საათების გადანაწილება ოპტიმალურად, საჭიროების შემთხვევაში დამატება
8. გადაიხედოს სილაბუსი - საწარმოო პრაქტიკა, მნიშვნელოვანია სასწავლო კურსის მიზნის ფორმირება მოხდეს განვლილ სასწავლო კურსებზე დაყრდნობით. ასევე, დასახვეწია შეფასების სისტემა
9. რეკომენდებულია, იმ პერიოდულობით, რაც უსდ-ს მიერ არის დადგენილი (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშს აკადემიური პერსონალი წარადგენს ყოველი წლის ბოლოს), გადაიხედოს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები და შემოწმდეს მათი მხრიდან შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებისა და პუბლიკაციების პერიოდულობა, რათა შესაბამისობაში მოვიდეს აკრედიტაციის სტანდარტით დადგენილ ნორმებთან
10. რეკომენდებულია, შესაბამისი სამსახურის მხრიდან მუდმივად გადამოწმდეს პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებების ვალიდურობა და მოქმედების ხანგრძლივობა. იმ შემთხვევაში, თუკი პროფესორი არჩეულია უვადოდ, მოხდეს ამ ფაქტის იდენტიფიცირება მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაშივე
11. უნივერსიტეტის ლაბორატორიები უზრუნველყოფილი იყოს თანამედროვე ხელსაწყო-დანადგარებით, ჭურჭლით, გამწოვი სისტემებით და ლაბორატორიის შესაბამისი თანამედროვე და საერთაშორისო სტანდარტების ინფრასტრუქტურით. ყველა ლაბორატორიულ ოთახებში ვენტილაციის სისტემების დამონტაჟება
12. ბიუჯეტის გაწერა მოხდეს კონკრეტული მუხლების შემადგენლობაში არსებული ხარჯების მითითებით
13. მიეთითოს ბიუჯეტის დაბალანსებისათვის მიმართული ფინანსების წარმოშობა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

პროგრამის ხელმძღვანელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები და შესაბამისად ასახა ცვლილებები პროგრამაში, კერძოდ რაც შეხება პირველ რეკომენდაციას, უსდ-მ გაითვალისწინა რეკომენდაცია, რომელიც ვიზიტის დღეს ექსპერტების მიერ დაფიქსირდა მიგნების სახით. პროგრამის მიზნებში შევიდა ცვლილება და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: პროგრამის მიზანია შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, რომელიც ფლობს თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას ქიმიის საბაზო დისციპლინებში (ზოგადი და არაორგანული ქიმია, ორგანული, ფიზიკური, ანალიზური, მაკრომოლეკულების და მეტალორგანულ ნაერთთა ქიმია, ბიოარაორგანული, ბიოორგანული, კოლოიდური ქიმია, ბუნებრივ ნაერთთა ქიმია და სხვა); კვლევის მეთოდებსა და ექსპერიმენტის ჩატარების ტექნიკას; ცოდნის პრაქტიკაში და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში გამოყენების უნარს.

მე-2 რეკომენდაცია დაწესებულებამ ასევე გაითვალისწინა, კერძოდ სასწავლო კურსებში, სადაც არის სწავლების ლაბორატორიული ფორმა და ითვალისწინებს ლაბორატორიაში უსაფრთხოების წესების სწავლებას/დაცვას, განსაზღვრა სწავლის შედეგები კომპეტენციაში „ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა“, შესაბამისად დაადგინა მათ სტატუსი აღნიშნულ კომპეტენციასთან მიმართებაში და ასახა კურიკულუმის რუკაში.

რაც შეეხება minor პროგრამას, მისი სწავლის შედეგები ჩამოყალიბდა შემდეგი სახით, ცოდნა და გაცნობიერება : აყალიბებს მნიშვნელოვან ფაქტებს, ძირითად ცნებებს, თეორიებს, კანონებს, ნომენკლატურას, კლასიფიკაციასა და ტერმინოლოგიას. აღწერს ქიმიური რეაქციების ძირითად ტიპებსა და მათი ჩატარების პირობებს, ქიმიური რეაქციების მიმდინარეობის მექანიზმებს. აღწერს ნივთიერებათა მიღების პროცესებს, მათი აღნაგობისა და იდენტიფიკაციისათვის საჭირო კვლევის ფიზიკურ-ქიმიურ მეთოდებს. უნარი: ატარებს ექსპერიმენტს, ახდენს მონაცემების დამუშავებას, მოსალოდნელი შედეგების პროგნოზირებას და აკეთებს დასკვნებს ანალიზის საფუძველზე. გამოყოფს ნივთიერებებს ნარევიდან, ატარებს იონთა და ფუნქციონალური ჯგუფების აღმომჩენ რეაქციებს. იყენებს მიღებულ თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებას სხვადასხვა ამოცანის გადასაწყვეტად.

ასევე მნიშვნელოვანია სასწავლო კურსების თავისუფლად კომპონენტებად მიკუთვნების საკითხი, დაწესებულება ეთანხმება რეკომენდაციებს. თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსები გადატანილ იქნა ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამის სავალდებულო სასწავლო კურსების ჩამონათვალში. შესაბამისად გადაიხედა დარგის შესაბამისი სასწავლო კურსების დაშვების წინაპირობები ექსპერტების დასკვნის პროექტში 2.2. კომპონენტის აღწერის ნაწილში მითითებულის მიხედვით.

რაც შეეხება მე-7 რეკომენდაციას, უნივერსიტეტმა გაითვალისწინებს ექსპერტთა რეკომენდაციას და გადახედავს სასწავლო კურსების სილაბუსებს საგნის სპეციფიკისა და დასახული ამოცანების გათვალისწინებით,

ინსტიტუციამ გაითვალისწინა ასევე ექსპერტთა მიერ განსაზღვრული მე-8 რეკომენდაცია და სასწავლო კურსის „საწარმოო პრაქტიკის“ მიზანი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: მომავალი ბაკალავრის თეორიული და პრაქტიკული მომზადების ერთიანობა, ცოდნის სისტემის ინტეგრირებული ფორმირება და ორგანიზაციული უნარ-ჩვევები, რაც უზრუნველყოფს პროფესიული კომპეტენციების ჩამოყალიბებას. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში განვლილ სასწავლო კურსების შესწავლისას მიღებული ცოდნის გაღრმავება და კონსოლიდაცია. ქიმიური საწარმოების სტრუქტურის გაცნობა, ქარხნისლაბორატორიებში მუშაობის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება. საწარმოებში ქიმიური და ტექნოლოგიური პროცესების განხორციელებაში პირდაპირი მონაწილეობის მიღება. კონკრეტული ქიმიური საწარმოებისათვის გამოყენებული ნივთიერებების ანალიზის ან სინთეზირების სხვადასხვა მეთოდების განხორციელება. საწარმოებში ქიმიური და ტექნოლოგიური პროცესების განხორციელება. გადაიხედა და დაიხვეწა სასწავლო კომპონენტის „საწარმოო პრაქტიკა“ შეფასების სისტემა.

რაც შეეხება მე-9 რეკომენდაციას, აღნიშნული რეკომენდაცია სავარაუდოდ გულისხმობს ხარჯების კონკრეტიკას მუხლების მიხედვით. გიდასტურებთ, რომ ბიუჯეტის ფორმაში მითითებულია ხარჯები მუხლობრივად. მათ შორის მუდმივი და ცვლადი ხარჯები, კერძოდ ცვლადი ხარჯის სახით ხელფასი, ინფრასტრუქტურა და სხვა ხარჯები, ხოლო მუდმივ ხარჯებში შედის ადმინისტრაციის და დამხმარე ერთეულის ხელფასი, კომუნალური გადასახადები, აწსუ სტიპედია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ დაზუსტა თუ როგორი მატერალური ბაზა აქვს უნივერსიტეტს ლაბორატორიის სახით, რა ნაწილი საჭიროებს შევსებას და რა დრო დასჭირდება აღნიშნულის განხორციელებას. გარდა ამისა, გაჟღერდა თუ არა სტუდენტებთან კომუნიკაციის დროს ლაბორატორიული აღჭურვის არასაკმარისობისა თუ ამოწურვადობის საკითხი.
საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა დააუსტა თუ რა ფინანსური რესურსი დაიხარჯა ბოლო 5 წლის განმავლობაში უნივერსიტეტის მხირდან მატერიალური ბაზის განახლების მიზნებისთვის. ასევე საინტერესოა თუ როგორ ახერხებენ სტუდენტები არსებული ლაბორატორიული რესურსიდან გამომდინარე ლაბორატორიის სრულყოფილად გამოყენებას.
საბჭოს წევრმა ასევე განაცხადა, რომ გაუგებარია ორგანული სინთეზის ლაბორატორიული სამუშაოების გადანაწილება კლასიკური ორგანული ქიმიის სქემაში. საბჭოს წევრი დაინტერესდა ასევე რომელი სასწავლო კურსის ფარგლებში გამოიყენება შარდის ანალიზატორი. თავად აპარადი საკმაოდ მნიშვნელოვანია, თუმცა სილაბუსებიდან გამომდონარე არ ჩანდ მისი გამოუენების აუცილებლობა.
საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ დააზუსტა თუ რატომ არ ჩათვალეს დაწესებულების წარმომადგენლება საჭიროდ პროგრამაში საბაკალავრო ნაშრომის არსებობა და ასევე დააზუსტა თუ რატომ არ შეიძლება აკედემიური წერა განვითარებული ყოფილიყო მესამე უნარში.
საბჭოს წევრმა, გორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ პროგრამიდან გამომდინარე ჩანს, რომ minor პროგრამა არის მოდულს მსგავსი პროგრამის შემადგენელი ნაწილი და ის არ შეიძლება გადიოდეს ძირითად სწავლის შედეგებზე. შესაბამისად მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს საკითხის დაზუსტებისკენ. რაც შეეხება შრომის ბაზრის კვლევას, აღნიშნული წარმოდგენილია 2015-2017 წლის მონაცემებით, რაც აბსოლუტურად არარელევანტურია.
საბჭოს წევრმა, ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულება საკმაოდ ბევრ ექსპერტთა რეკომენდაციას დაეთანხმა და შესაბამისად შეცვალა სასწავლო კურსების სტატუსი, თუმცა არ შეცვლილა სწავლის შედეგები. გარდა ამისა, საბჭოს წევრმა განმარტა, რომ ბიუჯეტთან დაკავშირებით ექსპერტთა რეკომენდაცია დაწესებულების მიერ არასწორად იქნა გაგებული.
საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ აღნიშნა, რომ რიგ სილაბუსებში მითითებულია მხოლო ქართულენოვანი ლიტერატურა და არ არის მოცემული ინგლისურენოვანი ლიტერატურა. ძალიან ბევრ სასწავლო კურსში კი თუ გვხვდება ინგლისურენოვანი ლიტერატურა აღნიშნული არის მხოლოდ ერთი და ისიც წარმოდგენილია ლინკის სახით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ქიმია“ მიზანია სტუდენტს ჩამოუყალიბოს პრაქტიკული უნარ–ჩვევები. სწორედ ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ლაბორატორიული კომპონენტის გაძლიერება. ვიზიტის ფარგლებშ მატერიალურ ტექნიკური ბაზის დათვალიერება განხორციელდა ონლაინ. გარკვეულ მიმართულებებზე (არაორგანული ქიმია, ზოგადი ქიმია, ანალიზური ქიმია) მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელია, გარკვეულ მიმართულებებზე კი (განსაკუთრებით ორგანული ქიმიის მიმართულება) მნიშვნელოვნად გასაუმჯობესებელია. საჭიროა ლაბორატორიის აღჭურვა, სამუშაო სივრცის უზრუნველყოფა, როგორც ორგანული სინთეზისათვის აუცილებელი

ლაბორატორიული ჭურჭლით, ასევე გამწოვი კარადებით და აპარატურით. დაწესებულებაში არსებული აპარატურა არ არის საკმარის სწავლის შედეგებზე სრულყოფილად გასასვლელად.
რაც შეეხება საკითხთან დაკავშირებით სტუდენტთა უკუკავშირს, სტუდენტების ამ საკითხს არ შეხებიან, ასევე აღსანიშნავია ის, რომ კურსდამთავრებულთა უმეტესი ნაწილი ჰაყვა პედაგოგიურ საქმიანობას.
მნიშვნელოვანია ასევე საკიტხი minor პროგრამასთან დაკავშირებით, კერძოდ წარმოდგენილ მასალაში მოცემულია minor პროგრამა (60 კრედიტი), რომლის სწავლის შედეგები პრაქტიკულად იმეორებს ძირითდი პროგრამის სწავლის შედეგებს, გარდა „პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობის“ ნაწილში წარმოდგენილი სწავლის შედეგებისა, რომელსაც ძირითდ პროგრამაში განსაზღვრავს „საწარმოო პრაქტიკის“ სასწავლო კურსი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა მატერიალურ ტექნიკურ ბაზებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ბოლო წლების განმავლობაში უნივერსიტეტის ადმინისტრაციის უშალო მონაწილეობით შეძენილი იქნა ისეთი აპარატურა, როგორიცაა, სპექტროფოტომეტრი, ნიტრატომეტრი, უნივერსალური PH მეტრი და ბიოქიმირი კვლევებისათვის ჩატარებული ხელსაწყოები. სტუდენტების მოთხოვნით, სასწავლო კურსებში დაემატა ,,ბიოქიმია“, რისი გათვალისწინებითაც გადაწყდა, რომ დაწესებულება ასევე ორინტირწბული ყოფილიყო ხელსაწყოების შეძენაზე. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას ჰაყვს საკმაოდ მცირე ჯგუფები, შესაბამისად ყველა სტუდენტს აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს ლაბორატორიული რესურსი. აღსანიშნავია ასევე, რომ ფაკულტეტისა და დეკანატის უშალო ხელშეწყობით განხორციელდა გრანტის მოპოვება, საიდანაც გამომდინარეობს ბიო-უსაფრთხოების ლაბორატორიის შექმნა.
მნიშვნელოვანია ასევე, რომ აკადემიურ საბჭოზე გადაწყდა მულტიფუნქციური ლაბორატორიის შექმნა, საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს შეთანხმებები და ასევე გამოცხადდება ტენდერებიც. შესაბამისად, სავარუდოდ მომდევნო სასწავლო წლისთვის უნივერსიტეტს დაემატება აღნიშნული ლაბორატორიაც.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროგრამაში მოცემული იყო 2017-2018 წლების შრომის ბაზრის კვლევა, თუმცა მოპოვებული მონაცემები იყო საკმაოდ მცირე, გარდა ამისა, უნივერსიტეტის მიერ მოხდა შრომის ბაზრის კვლევის დაკვეთა თუმცა აკრედიტაცის საბჭოს ჩაინიშნა უფრო ადრე ვიდრე შედეგების იქნებოდა ცნობილი. ამავე დროს დაწესებულების მიერ გამოკითხული იქნა 10 რესპოდენტი და თითოეული მათგანი ადასტურებს იმას, რომ სჭირდებათ პრაქტიკული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი ქიმიკოსები, რაც პროგრამის ფარგლებში მიიღწევა ლაბორატორიული მუშაობებით და საწარმოო პრაქტიკით.
პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა ასევე, რომ უნივერსიტეტის პოლიტიკიდან გამომდინარე საბაკალავრო ნაშრომი არ არის გათვალისწინებული ამ ეტაპზე.
რაც შეეხება სასწავლო კურსების სტატუსის ცვლილებას, მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულმა ცვლილბემა გამოიწვია სწავლის შედეგების მხოლოდ ნაწილობრივი შეცვლა.
მნიშვნელოვანია ასევე ლიტერატურის ნაწილი, კერძოდ პროგრამის ფარგლებში პრიორიტეტი ენიჭება ქართულენოვან ლიტერატურას. ამჟამად ონლაინ სწავლებიდან გამომდინარე, შესაძლებლობა არის რომ მოხდეს ყოველდღიურად ახალი უცხოური მასალი მოძიება და განახლებული ლინკების გაზიარება.

სხდომაზეგამოცხადდასათათბიროშესვენება
დაწყებისდრო: 16:27
დასრულები სდრო: 17:33

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

√ აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება. კერძოდ საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ 1.2, 2.3 და 4.1 ქვესტანდარტები ნაცვლად „მეტწილა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, ხოლო 5.1 ქვესტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განისაზღვროს როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის და ორი წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:

1. გადაიხედოს პროგრამის მიზნების ფორმულირება ნაკლები დეტალიზაციის და მეტი განზოგადებულობის მიმართულებით.
2. გადაიხედოს კურიკულუმის რუკა სასწავლო კურსების კონკრეტული სწავლის შედეგის უზრუნველყოფის დონის განსაზღვრის მიხედვით
3. გაიზარდოს „დამოუკიდებლობასა და ავტონომიურობის“ შემადგენელი სწავლის შედეგების განმსაზღვრელი სასწავლო კურსების რაოდენობა მათი შინაარსისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით.
4. გადაიხედოს minor პროგრამის სწავლის შედეგები და გახდეს ის უფრო რეალისტური

5. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

6. გადაიხედოს სასწავლო კურსების თავისუფალ კომპონენტად მიკუთვნების საკითხი;

7. გადაიხედოს რიგი სასწავლო კურსების დაშვების პირობები.

8. სილაბუსებში მნიშვნელოვნად გადასახედია და მეტად გასათვალისწინებელია საგნის სპეციფიკა, როგორც შეფასების ისე ფორმატის გათვალისწინებით. კერძოდ მნიშვნელოვნად შესაცვლელია ზოგიერთი საგნის სილაბუსებში ლაბორატორიული მეცადინეობისათვის კვირაში დათმობილი საათების ხანგრძლივობა და ამოცანები. აუცილებელია მოხდეს, საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით, არსებული საათების გადანაწილება ოპტიმალურად, საჭიროების შემთხვევაში დამატება.
9. გადაიხედოს სილაბუსი - საწარმოო პრაქტიკა, მნიშვნელოვანია სასწავლო კურსის მიზნის ფორმირება მოხდეს განვლილ სასწავლო კურსებზე დაყრდნობით. ასევე, დასახვეწია შეფასების სისტემა.
10. რეკომენდირებულია გადაიხედოს ორგანული სინთეზის და ორგანული ქიმიის სილაბუსები და აღმოიფხვრას გადაფარვა.

11. რეკომენდირებულია სასწავლო კურსები, რომლებთაც შეეცვალათ სტატუსი, შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის სწავლის შედეგებთან.

12. რეკომენდებულია, იმ პერიოდულობით, რაც უსდ-ს მიერ არის დადგენილი (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშს აკადემიური პერსონალი წარადგენს ყოველი წლის ბოლოს), გადაიხედოს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები და შემოწმდეს მათი მხრიდან შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებისა და პუბლიკაციების პერიოდულობა, რათა შესაბამისობაში მოვიდეს აკრედიტაციის სტანდარტით დადგენილ ნორმებთან

13. რეკომენდებულია, შესაბამისი სამსახურის მხრიდან მუდმივად გადამოწმდეს პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებების ვალიდურობა და მოქმედების ხანგრძლივობა.

14. უნივერსიტეტის ლაბორატორიები უზრუნველყოფილი იყოს თანამედროვე ხელსაწყო-დანადგარებით, ჭურჭლით, გამწოვი სისტემებით და ლაბორატორიის შესაბამისი თანამედროვე და საერთაშორისო სტანდარტების ინფრასტრუქტურით. ყველა ლაბორატორიულ ოთახებში ვენტილაციის სისტემების დამონტაჟება.

15. რეკომენდირებულია შემუშავდეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების დეტალური სამოქმედო გეგმა (გრძელვადიანი და მოკლევადიანი) უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებული ფინანსური რესერსებით.

16. ბიუჯეტის გაწერა მოხდეს კონკრეტული მუხლების შემადგენლობაში არსებული ხარჯების მითითებით

17. მიეთითოს ბიუჯეტის დაბალანსებისათვის მიმართული ფინანსების წარმოშობა

18. რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად.

რჩევები:

1. სასურველია, განისაზღვროს ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით პროგრამის მიზნები და შემუშავდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა

2. პროგრამას დაემატოს საბაკალავრო (დამამთავრებელი) ნაშრომი

3. მიზანშეწონილია, ზოგიერთ სასწავლო კურსში მოხდეს თანამედროვე უცხოური ლიტერატურის ჩამონათვალის შემოტანა/განახლება.

4. სასურველია, გაიზარდოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. სასურველია, მინიმალური კომპეტენციის ზღვრების (როგორც შუალედური შეფასების, ასევე დასკვნითი გამოცდის) ჯამი იყოს 41 ქულა

5. სასურველია, ლაბორატორიული კომპონენტის ცალკე სასწავლო კურსის ფორმით განაწილება. კონკრეტულად: ზოგადი, არაორგანული და ორგანული ქიმია - ლაბორატორიული მუშაობის ცალკე გამოყოფა და სათანადო დროის დათმობა.

6. სასურველია, გამოკითხვის შედეგების ანალიზიდან გამომდინარე განხორციელებული ან დაგეგმილი ღონისძიებები თავს იყრიდეს ერთიანი რეაგირების ანგარიშში, რათა უფრო ნათლად გამოიკვეთოს, თუ რამდენად იყენებს უსდ გამოკითხვის შედეგებს პროგრამის განვითარებისათვის
სასურველია, გამოკითხვის შედეგების ანალიზიდან გამომდინარე განხორციელებული ან დაგეგმილი ღონისძიებები თავს იყრიდეს ერთიანი რეაგირების ანგარიშში, რათა უფრო ნათლად გამოიკვეთოს, თუ რამდენად იყენებს უსდ გამოკითხვის შედეგებს პროგრამის განვითარებისათვის

7. სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან გაიცეს უფრო მკაფიო რეკომენდაციები პროგრამაზე მუშაობისას გამოვლენილ ნაკლოვანებებთან დაკავშირებით, დაანახოს პროგრამაზე მომუშავე ჯგუფს ამ ცვლილებათა განხორციელების აუცილებლობა და გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში სათანადო შედეგების დადგომის რისკი.

8. სასურველია პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და წარმოდგენილი იყოს შესაბამისი ანგარიშის სახით

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტ ების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის და ორი წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით

2.მეორე საკითხი : სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "განათლების ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	განათლების ადმინისტრირება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული

5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	განათლების ადმინისტრირების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ნინოშვილის/რუსთაველის ქ. №35/32, ბათუმი უნივერსიტეტის I კორპუსი, III სართული 6010, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოსწევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოსწევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა- გაიოზ ფარცხალაძემ
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ცენტრის დირექტორის ბრძანების #987546 თანახმად, 2021 წლის 8 ოქტომებრს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა

რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში დისტანციურად (ზუმის პლატფორმის გამოყენებით) განხორციელდა აკრე-დი-ტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ამავე უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „განათლების ადმინისტრირების“ აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო შესაბამისი სა-გან-მა-ნათ-ლებლო პროგრამის მასალები და დაიწყო მოწოდებული დოკუმენტაციის გაცნობა. ექსპერტთა ჯგუფ-მა წინასწარ იმუშავა პროგრამის გაცნობაზე, შეფასებაზე და დაზუსტდა ის აუცი-ლე-ბე-ლი კითხვები, რომლებიც დაისვა ინტერვიუს დროს პროგრამის სტანდარტებსა და კომ-პო-ნენ-ტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. სამუშაო განრიგის მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელებს, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებს. ასევე გაიმართა ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დისტანციურად დაათვალიერა უნივერ-სი-ტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა მომიჯნავე ფაკულტეტის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს. შეხვედრის განმავლობაში დაზუსტდა ინფორმაცია პროგრამის, მისი ცალკეული კომპონენტებისა და სტრუქ-ტუ-რის, შესაბამისი დოკუმენტაციისა და ცალკეული სილაბუსების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოტანილი დასკვნები, რეკომენდაციები და რჩევები ეყრდნობა სწორედ ზემოაღნიშნული დოკუმენტების შესწავლისა და ინტერვიუების შედეგად მიღებულ ინფორმაციას.

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "განათლების ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციე ბი:

1. პროგრამისთვის განისაზღვროს მკაფიოდ გაზომვადი მიზნები.

2. გადაიხედოს სწავლის შედეგების შეფასების მექნიზმი. სწავლის შედეგების შეფასების მექნიზმი განისაზღვროს თითოეული სწავლის შედეგისთვის;

3. რეკომენდებულია, მოხდეს სწავლის შედეგების გამსხვილება, რაოდენობრივად შემცირდება. მკაფიოდ გაზომვადი სწავლის შედეგების შემუშავება.

4. სასწავლო კურსების საკონტაქტო / არასაკონტაქტო საათების განსაზღვრა მოხდეს კურსის სპეციფიკიდან და სირთულიდან გამომდინარე;

5. პროგრამა გამდიდრდეს ისეთი თემატიკით, როგორიცაა სტრატეგიული მენეჯმენტი განათლებაში ან/და ცვლილებების მენეჯმენტი ან/და ანტიკრიზისული მართვა, ინოვაციური მენეჯმენტი ან/და რისკ-მენეჯმენტი, აკადემიური წერა.

6. რეკომენდებულია, გადაიხედოს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები. დაემატოს კვლევის მეთოდოლოგიის, კვლევის შედეგების სანდოობისა და ვალიდობის შეფასებისთვის საჭირო კრიტერიუმები.

7. პროგრამის რეაკრედიტაციის ეტაპზე განხორციელდეს კვლევები, რომელიც დაადგენს შრომის ბაზრის უახლეს ტენდენციებს და გამოკვეთს პროგრამის შემუშავების საჭიროებას, სპეციფიურ შინაარსობრივ ასპექტებსა და საჭიროებებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და დაადასტურა ექსპერტთა საქმიანი რეკომენდაციებისა და რჩევების გაზიარების მზადყოფნა, კერძოდ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამის მიზნების გაზომვადობასთან მიმართებით პროგრამის გუნდი გადახედავს სასწავლო კურსებს და გააძლიერებს მათ ისეთი აქტივობებით, როგორიცაა ჯგუფური პროექტი, საგანმანათლებლო დაწესებულების საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევა და სხვ. გათვალისწინებული იქნება, ასევე, შესაბამისი კომპეტენციებისა და უნარების შეფასების მექანიზმებიც

რაც შეეხება მე-2 და მე-3 რეკომენდაციას, საგანმანათლებლო პროგრამა ფარავს სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სფეროების ადმინისტრირების საკითხებს, რამაც გამოიწვია სწავლის შედეგების სიმრავლე. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, რეკომენდაციების გათვალისწინებით, იმუშავებს სწავლის შედეგების გამსხვილებასა და შედეგების შეფასების მექანიზმებზე; ამასთან, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების ჩამოსაყალიბებლად გათვალისწინებული იქნება საგანმანათლებლო სივრცის თანამედროვე გამოცდილება.

მე-4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ექსპერტთა დასკვნიდან გამომდინარე, რეკომენდაცია ეხება „პროფესიული პრაქტიკისა“ და „კვლევის მეთოდების“ კურსებში საკონტაქტო საათების რაოდენობის გაზრდას. პრაქტიკისა და კვლევის კომპონენტების მნიშვნელობასთან და საათების რაოდენობასთან დაკავშირებით ექსპერტთა რეკომენდაციის გაზიარებით აღნიშნული სასწავლო კურსებისთვის გათვალისწინებული კრედიტების ფარგლებში გაიზრდება საკონტაქტო საათების რაოდენობა. აღსანიშნავია ისიც, რომ პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებას, ემსახურება, აგრეთვე, სხვადასხვა (როგორც სავალდებულო, ასევე სპეციალობის არჩევით) სასწავლო კურსში გათვალისწინებული აქტივობები.

აღსანიშნავია ასევე მე-5 რეკომენდაცია, კერძოდ საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს თავისუფალ კომპონენტს 10 კრედიტის მოცულობით, რაც საშუალებას გვაძლევს პროგრამისთვის შემუშავდეს სასწავლო კურსი „აკადემიური წერა“ და სტუდენტებისთვის შეთავაზებული იქნას არჩევითი კურსის სტატუსით. ასევე, პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები (ორგანიზაციული მართვა და გადაწყვეტილებების მიღება, მენეჯერული ეკონომიკა) გაძლიერდება რეკომენდებული თემატიკით (სტრატეგიული მენეჯმენტი განათლებაში, ცვლილებების მენეჯმენტი, ანტიკრიზისული მართვა, ინოვაციური მენეჯმენტი, რისკ-მენეჯმენტი).

რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებს, სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში მითითებულია სამაგისტრო ნაშრომის შეფასების რუბრიკა, სადაც დაზუსტდება კვლევის მეთოდოლოგიის, კვლევის შედეგების სანდოობისა და ვალიდობის შეფასების კომპონენტები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ სილაბუსების მიხედვით, ყველაფერი საჭიროებს ცვლილებას. პროგრამა არის 0413-ის ქვეშ, შესაბამისად, მენეჯმენტი უნდა იყოს წამყვანი. ,,ორგანიზაციული მართვა და გადაწყვეტილებების მიღება“ პროგრამის ფარგლებში ისწავლებ პრინციპების დონეზე რაც დამახასიათებელია საბაკალავრო საფეხურისთვის. თავიდან ბოლომდე ასევე შინაარსობრივად დასახვეწია ,,ფინანსები განათლებაში“. რეალურად თავისი არსით, პროგრამა 0413-ს არის აცდენილი და საჭიროებს საკმაოდ სერიოზული სამუშაოების გატარებას. რაც შეეხება შრომის ბაზრის კვლევას, წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე გამოკითხა 71 დამსაქმებელი, თუმცა არ ჩანს მათი ვინაობა.

საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს შეეფასებინა გამოთხოვილი სამაგსტრო ნაშრომები, ვინაიდან სამაგისტრო ნაშრომებში საკამოდ სუსტი იყო სამეცნიერო ბაზების გამოყენების კომპონენტი. აღსანიშნავია ასევე, რომ ,,კვლევის მეთოდოლოგიის" სასწავლო კურსების ფარგლებში ინსტიტუციას ძირითადი აქცენტი გაკეთებული აქვს პრაქტიკულ ნაწილში კვლევის დიზაინის წარდგენაზე, შესაბამისად, ნაშრომებშიც მეთოდოლოგიის გამართულობა არის სადაო, რადგნა წარმოდგენილია საკმაოდ სუსტადდ, შესაბამისად უმჯეობსი ხომ არ არის მეთოდებში მარტო დიზაინის მოთხოვნის გარდა ჩართული იყო კვლევების გაკეთების დავალებებიც, იმ მიზნით, რომ სტუდენტებმა პაქტიკული უნარები უკეთ აითვისონ.

საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა ,,მეთოდებისა" და ,,პრაქტიკის კვლევის კურისი" და განმარტა, რომ ისინი ერთმანეთ რაღაც ნაწილში ფარავენ, შესაბამისად უმჯობესია ,,მეთოდების" კურსში, მეთოდების მეტად გაშლა. ასევე საკამოდ მნიშვნელოვანი იქნება თუ სამაგსტრო ნაშრომის სილაბუსში გათვალისიწნებული იქნება ციტირების სტილი, ვინაიდან ნაშრომების სხვადასხვა ციტირების სტილით არის წარმოდგენილი.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ პირველი და მეორე სტანდარტი შეფასებულია როგორც მეტწილად შესაბამისი, ამ დროს რეალურად პროგრამის კონტენტიდან და სასწავლო კურსებიდან გამომდინარე, რამდენიმე სწავლის შედეგის მიღწევა ეჭვის ქვეშ დგას, მაგალითად 1.1, 1.2, 2.8 საერთოდ გაუგებარია როგორ მიიღწევა პროგრამიდან გამომდინარე. შესაბამისად ამ ფონზე რამდენად არის მეტწილად შესაბამისობაში, თუ არა საერთოდ შეუსაბამო პროგრამის სწავლის შედეგები.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშილმა აღნიშნა, რომ რა თქმა უნდა კარგია, რომ დაწესებულებამ გადაგა ნაბიკი და გაითვალისწინა მენეჯმენტის მიმართულებით სასწავლო კურსების დამატება, თუმცა ,,მენეჯერული ეკონომიკა" ან თუნდაც ,,მენეჯერული მართვა და გადაწყვეტილების მიღება" მოცემულ სასწავლო კურსებში რატომ არის შერჩეული სრულიად არარელევანტური ლიტერატურა. მოცემული ლიტერატურით პროგრამა სწავლის შედეგებზე ვერ გავა. მენეჯმენტთან დაკავშირებულ სასწავლო კურსებში არც ლიტერატურა, არც სტრუქტურა და არც შინაარსი არ არის რელევანტური, შესაბამისად, როგორგ გავა მოცემული სასწავლო კურსებით პროგრამა სწავლის შედეგებზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ სწავლის შედეგების მიღწევისა და გაზომვის საკითხი საკმაოდ პრობლემატურია, ამასთანავე, სწავლის შედეგების განვითარება პროგრამაში არ არის მოცემული, შესაბამისად, სწორედ ეს არის მოაზრებული იმაში, რომ უნდა მოხდეს სწავლის შედეგების გადახედვა.

რაც შეეხება ნაშრომებს, განხილულ ნაშრომებშ სრულიად ბუნდოვანია გამოყენებული აკადემიური სტილი, გარდა ამისა, სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგად ასევე დადგინდა, რომ საკითხთან დაკავშირებით აქცენტი პროგრამის ფარგლებში არ კეთდება. როდესაც სამაგისტრო ნაშრომში შეფასების კრიტერიუმი არ არის კვლევის მეთოდოლოგია, აღნიშნული უკვე წარმოადგენს საფუძველს იმისა, რომ სამაგისტრო ნაშრომებში იქნება მსგავსი პრობლემები. ერთი მხრივ აუცილებელია დაიხვეწოს სამაგისტრო ნაშრომების შეფასების რუბრიკა, ხოლო მეორემრივ რადგან გამოიკვეთა აღნიშნული პრობლემები, აკადემიურ სტილთან დაკავშირებით, დაწესებულებას აკადემიური წერა შეუძლია არცევით სასწავლო კურსად განსაზღვროს და აღნიშნული იქნება მხარდამჭერი ღონისძიებია იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც საჭიროებენ მას.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ასევე ახსენა სამეცნიერო ბაზების საკითხი და განმარტა, რომ მსგავსი სტატისტიკა ექსპერტთა მხრიდან არ ყოფლა შემოწმებული თუმცა სტუდენტებმა დაადასტურეს ის, რომ იციან როგორ გამოიყენონ და იხელმძღვანელონ სამეცნიერო ბაზებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში მოქმედებს ციტირების წესი, რომელიც შეთავაზებულია სტუდენტებისთვის სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის დროს და ითვალისწინებს სამ სხვადასხვა სტილს. შესაბამისად არის მოლოდინი იმისა, რომ არსებობდეს სხვადასხვა სტილი, სწორედ აქედან გამომდინარე.

რაც შეეხება კვლევის მეთოდების საკითხს, ექსპერტთა დასკვნის შემდგომ პროგარამაზე მომუშავე ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ გაზრდილიყო პრაქტიკული საათების რაოდენობა საჭიროებისამებრ, ყოველგვარ შეზღუდვის გარეშე და მოხდეს ამ ღონისძიების საშუალებით კვლევის მეთოდების კურსის გაძლიერება.

მნიშვნელოვანია ასევე მენეჯმნეტის კუთხით პროგრამის გაძლიერების საკითხი, პროგრამა გარკვეული დროის მანძილზე მუშაობდა პირობითი აკრედიტაციის რეჟიმში. წინა ექსპერტთა ვიზიტის დროს რეკომენდაციების შესაბამისად, დაემატა ,,მენეჯერული ეკონომიკა“ და მათ შორის რამდენიმე საგანი , როგორიცაა მაგალითად ,,ადამიანური რესურესბის მართვა“ და ის საგნები, რომლებიც ბიზნეს ადმინისტრირების კუთხით აძლიერებდა პროგრამას.

რაც შეეხება პრაქტიკის კვლევას, გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამით ინტერესდებიან სხვა სპეციალობის კურსდამთავრებულებთან ერთად მოქმედი ან მომავალი მასწავლებლებიც, ,,პრაქტიკის კვლევა“ ჩაითვალა მნიშვნელოვან ასპექტად და წარმოდგენილია არჩევითი სასწავლო კურსის სახით.

მნიშვნელოვანია ასევე მენეჯმენტის მიმართულება, კერძოდ პროგრამა ხორციელდება 2012 წლიდან და დაწესებულება მუდმივად ცდილობს მის განვითარებას, შესაბამისად, ექსპერტთა რეკომენდაციებითა და დაწესებულების გადაწყვეტილებით დაემატა და გაძლიერდა მენეჯმენტის მიმართულება. მოცემული პროგრამა ამზადებს საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელებს, ამ შემთხვევაში საკმაოდ რთულია მკვეთრი ხაზის გავლება მენეჯმენტსა და განათლებას შორის, ამიტომ ხდება შუალედის გათვალისწინება რათა პროგრამა არ აცდეს მიმართულებას. რაც შეეხება ლიტერატურას, ძირითადი ლიტერატურა ყველა არის ქართულენოვანი, განახლებული და არსებობს მათი რიდერები. გარდა ამისა გასათვალისწინებელია ისიც, რომ ყველა სტუდენტს შესაძლოა არ ჰქონდეს ბაკალავრი ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულებით, ამიტომაც სასწავლო კურსი და ლიტერატურა ამასაც ითვალისწინებს.

მნიშვნელოვანია ასევე, რომ კურსდამთავრებულთა უდიდესი ნაწილი დასაქმებულია მიზნობრივად. პროგრამა განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს რეგიონში და შესაბამისად კონკურსიც საკმაოდ დიდია, რასაც ადასტურებს სტუდენტთა კმაყოფილების კვლევაც.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულება ბიუჯეტი წარმოდგენილი აქვს 30 სტუდენტზე.

ფაკულტეტის დეკანმა განმარტა, რომ მიმდინარე წელს აპლიკანტების რაოდენობა იყო 45, მაგრამ არ იქნა მიღებული 15 აპლიკანტზე მეტი, რადგანაც გათვალისწინებული იქნა სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობის საკითხი. დაწესებულებას ჰქონდა ერთი წელი წყვეტა, შესაბამისად აქტიური სტუდენტების რაოდენობა არის ნაკლები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ პროგრამა არის 0413-ის ქვეშ, პროგრამა ანიჭებს ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრს. ის რომ პროგრამამ შეიძლება მიანიჭოს განათლების ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხის არ ცვლის რეალობას და აღნიშნული არ არ არის ინტერდისციპლინარული. კვალიფიკაცია განიხილება კვლავ 0413-ის ქვეშ. საუბარი იმაზეა, რომ უნდა მოხდეს ბიზნეს ადმინისტრირების გაძლიერება, ვინაიდან პროგრამა ბიზნეს ადმინისტრირების ქვეშ ოპერირებს აღნიშნული საკითხები თავიდანვე უნდა იყოს მოცემული და შეტანილი პროგრამაში. ბიზნეს ადმინისტრირება უნდა გაძლიერდეს განთლების საკითხებით და არა პირიქით.

საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ მაგისტრატურის დონის დაწევა იმიტომ, რომ პროგრამაზე სწავლობს არა ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი არ შეიძლება, რადგან კვალიფიკაცია არის 0413.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშილმა აღნიშნა, რომ გასაგებია, რომ პროგრამის სტუდენტები განათლების მიმართულებით წავლენ, შესაძლოა ასევე ყველამ არ იცოდეს ბიზნეს ადმინისტრირება, მაგრამ ამისთვის პროგრამას შეიძლება ჰქონდეს ჩამკეტი მექანიზმი, რაც არის გამოცდა. გამოცდის შედეგად სტუდნეტებს ეცოდინებათ ელემენატრული საფუძვლები. განათლების მიმართულებით რომ მოდიან სტუდენტები და კურსდამთავრებულები ისევ განათლების სექტორში რომ მიდიან, ამიტომ არის გაუგებარი მაგალითად ,,გლობალური კონკურენტული სტრატეგიები" და ,,ფირმის საგარეო ურთიერთობები" რატომ უნდა ისწავლოს სკოლის დირექტორმა. აღნიშნული საკითხები სრულიად არარელევანტურია პროგრამისთვის, ასევე არარელევანტურია განსაზღვრული ლიტერატურა. ლიტერატურა და რიგ სასწავლო კურსის სწავლის შედეგები ერთმანეთს არ შეესაბამება, შესაბამისად შეუძლებელია მათზე გასვლა. აღსანიშნავია ასევე, რომ ძირითად სწავლის შედეგზე (2.8) პროგრამა გადის არჩევითი სასწავლო კურსების მეშვეობით და ძირითადი სასწავლო კურსები, რომლებიც მონიშნულია, არ არის განხილული სწავლის შედეგში ასახული საკითხები. შესაბამისად, ეს საკითხებიც აუცილებლად საჭიროებენ გადახედვას და ცვლილებას. პროგრამის შინაარსის, სტრუქტურისა და სასწავლო კურსების მიხედვით საკმაოდ რთულია სწავლის შედეგების მიღწევა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინსტიტუცია იზიარებს საბჭოს წევრთა მოსაზრებებს სასწავლო კურსებთან დაკავშირებით. გასათვალისწინებელია, რომ საუბარია პროგრამაზე, რომელიც 2012 წლიდან დღემდე ხორციელდება და აქტიურად დამკვიდრდა საგანმანათლებლო სივრცეში. მნიშვნელოვანია ასევე, რომ პროგრამა ასრულებს გარკვეულ როლს რეგიონულ განვითარებაში და მათ შორის ავტონომიური რესპუბლიკის, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოციალურ პოლიტიკურ და საგანმანათლებლო სივრცეში. სხდომის მიმდინარეობისას შენიშვნები გამოითქვა მენეჯმენტის მიმართულების სასწავლო კურსებთან დაკავშირებით, თუმცა არაფერი თქმულა განათლების მიმართულებაზე, რაც მოწმობს იმას, რომ აღნიშნული მიმართულება ქმნის თავის ღირებულებას, უნდა გაგრძელდეს და დაიხვეწოს. დაწესებულება ითვალისწინებს შენიშვნებს და აუცილებლად მოახდენს მნიშვნელოვანი ცვლილებების გატარებას, რადგან ინსტიტუციას აქვს შესაბამისი რესურსი და პოტენციალი.

რაც შეეხება შრომის ბაზრის კვლევას, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ბაზრის კვლევა მიმართული იყო იმ დაწესებულებებზე, რომლებიც განათლების სფეროს წარმოადგენენ. უნივერსიტეტმა გამოიკითხა 75 დამსაქმებელი, კერძოდ რესუსრ ცენტრის წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები, რეგიონის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, პროფესიული კოლეჯები, კერძო და საჯარო სკოლები და ასევე აჭარის განათლების და კულტურის სამინისტრო.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყებისდრო: 18:40

დასრულებისდრო: 19:30

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

√ აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

კერძოდ საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის პირველი და მე-2 სტანდარტი, 1.1, 1.2, 2.3 და 2.6 კომპონენტები ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" განისაზღვრა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", მე-5 სტანდარტი, 2.1, 3.2 და 5.3 ქვეკომპონენტი ნაცვლად „შესაბამიშობაშია მოთხოვნებთან", განისაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან". 2.2 ქვეკომპონენტი ნაცვლად „შესაბამიშობაშია მოთხოვნებთან", განისაზღვრა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან"

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „განათლების ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

საბჭოს სხომაზე, ცენტრის დირექტორის მოადგილემ, ლაშა მარგიშვილმა განაცხადა, რომ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავდა აქტიური სტატუსის მქონებ სტუდენტები, რომლებიც სარგებლობდნენ სხვადასხვა სახის სახელმწიფო დაფინანსებით. შესაბამისად, სტუდენტებისინტერესების გათალისწინებით, ცენტრმა ამ ეტაპზე შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, რომ მას აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით ემსჯელა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-3^2 პუნქტის გამოყენებაზე. კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, თუ საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის უარის/გაუქმების შესახებ სასწავლო წლის განმავლობაში, აკრედიტაციის საბჭო უფლებამოსილია, სტუდენტების კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის უწყვეტობის მიზნით, აკრედიტაციის დარჩენილი ვადის მიუხედავად, სათანადო გადაწყვეტილებით სტუდენტებს მიმდინარე სასწავლო წელი შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტებულ რეჟიმში დაასრულებინოს და აკრედიტაციის გაუქმების შესახებ ან ხელახალ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად არაუგვიანეს მიმდინარე სასწავლო წლის დასრულების თარიღი მიუთითოს. აღნიშნული შუამდგომლობა საბჭოს წევრებმა ერთხმად დააკმაყოფილეს. თუმცა, საბჭოს სხდომის მსვლელობის დროს, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან გავლილი კონსულტაციების საფუძველზე დაზუსტდა, რომ ვინაიდან, აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაციის ვადა გასული ჰქონდა საბჭოს სხდომის გამართვის დღისთვის, 2021 წლის 27 სექტემბრიდან და იგი ხორცილდებოდა ავტორიზებულ რეჟიმში. შესაბამისად, ფაქტობრივი მოცემულობის გათვალისწინებით, შეუძლებელი იქნებოდა აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის 3^2 პუნქტის გამოყენება. შესაბამისად ლაშა მარგიშვილმა მოხსნა შუამდგომლობა გადაწყვეტილების ძალაში შესვლასთან დაკავშირებით.

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:

1. პროგრამისთვის განისაზღვროს მკაფიოდ გაზომვადი, მიღწევადი მიზნები.
2. გადაიხედოს სწავლის შედეგების შეფასების მექნიზმი. სწავლის შედეგების შეფასების მექნიზმი განისაზღვროს თითოეული სწავლის შედეგისთვის
3. რეკომენდებულია, მოხდეს სწავლის შედეგების გამსხვილება, რაოდენობრივად შემცირდება. მკაფიოდ გაზომვადი სწავლის შედეგების შემუშავება.
4. სწავლის შედეგები მოვიდეს შესაბამისობაში მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და იყოს მიღწევადი შესაბამისი სასწავლო კურსებით.
5. რეკომენდირებულია, უზრუნველყოფილი იქნას ბიზნე-ადმინისტრირების/ორგანიზაციის მართვის სფეროში მინიმალური დონე შესაბამისი წინაპირობით.
6. რეკომენდებულია დაიხვეწოს საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
7. . სასწავლო კურსების საკონტაქტო / არასაკონტაქტო საათების განსაზღვრა მოხდეს კურსის სპეციფიკიდან და სირთულიდან გამომდინარე;

8. პროგრამა გამდიდრდეს ისეთი თემატიკით, როგორიცაა სტრატეგიული მენეჯმენტი განათლებაში ან/და ცვლილებების მენეჯმენტი ან/და ანტიკრიზისული მართვა, ინოვაციური მენეჯმენტი ან/და რისკ-მენეჯმენტი, აკადემიური წერა.
9. რეკომენდებულია გადაიხედოს მენეჯმენტის სფეროს სასწავლო კუსები, დაიხვეწოს მათი შინაარსი, სავალდებულო ლიტერატურა და სწავლის შედეგები
10. რეკომენდებულია, გადაიხედოს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები. დაემატოს კვლევის მეთოდოლოგიის, კვლევის შედეგების სანდოობისა და ვალიდობის შეფასებისთვის საჭირო კრიტერიუმები.

11. რეკომენდებულია უზრუნველყოფილ იქნას სამაგისტრო ნაშრომების გაფორმების წესის სისრულეში მოყვანა.
12. რეკომენდირებულია, სამაგისტრო ნაშრომებზე მუშაობის პროცესში საერთაშორისო ელექტრონული ბაზების და თანამედროვე ლიტერატურის გამოყენება.
13. პროგრამის მოდიფიცირებისა და განახლების ეტაპზე განხორციელდეს უშუალოდ შესაბამიის პროგრამის კვლევები, რომელიც დაადგენს შრომის ბაზრის უახლეს ტენდენციებს და გამოკვეთს პროგრამის შემუშავების საჭიროებას, სპეციფიურ შინაარსობრივ ასპექტებსა და საჭიროებებს.

14. რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად.

15. რეკომენდირებულია პროგრამის დადარება საერთაშორისო/ადგილობრივ ანალოგებთან პრროგრამის მდგრადი განვითარების მიზნით.

რჩევები:

1. სასურველია, გადაიხედოს კურსის ფარგელბში შეთავაზებული ლიტერატურის რაოდენობა და მოცულობა. თითოეული კურსისთვის სავალდებულო ლიტერატურის რაოდენობა განისაზღვროს კურსის მოცულობის გათვალისწინებით.

2. სასურველია, შემუშავდეს პრაქტიკის დოკუმენტი, რომელიც დეტალურად აღწერს პრაქტიკის დაგეგმვის, განხორციელებისა და მონიტორინგის მექნიზმებს.

3. სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს საავტორო უფლებების დაცვის მექანიზმი.

4. სასურველია დაწესებულბამ შეიმუშაოს პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი.

5. სასურველი, პროგრამის მოდიფიცირებისა და განახლების ყველა ეტაპზე, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტებისა და კულსდამთავრებულების ჩართულობა და მათი შეხედულებების გაზიარება, არა მხოლოდ გამოკითხვებში მონაწილეობით, არამედ პროგრამის სამუშაო პროცესში უშუალო ჩართულობით.

6. სასურველია განხორციელდეს პროგრამის კოლეგიალური შეფასება ადგილობრივი და საზღვარგარეთის ამავე მიმართულების აკადემიური პერსონალისა თუ ექსპერტების მიერ, რაც ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს პროგრამის საერთაშორისო სტანდარტებთან მეტად დაახლოებას, ხოლო მეორე მხრივ, მისი კონკურენტუნარიანობის ზრდას ადგილობრივ საგანმანთლებლო ბაზარზე.

გადაწყვეტილება

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 24-ე მუხლის, ასევე, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, ამავე კანონის 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ -ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „განათლების ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვა აკრედიტაციაზე.

3.მესამე საკითხი : შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნეს ადმინისტრირება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	ახალი
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი 0162, ბაგები, წყნეთის გზატკეცილი #67
15		-

	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოსწევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება- მაკა კაჭარავა
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
მესამე საკითხისზეპირიმოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტში ,,ალტერბრიჯი“ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროგრამის შეფასება განხორციელდა ონლაინ რეჟიმში ზუმის პლატფორმის გამოყენებით 2021 წლის 23 სექტემბერს. ვიზიტის ფარგლებში, განხორციელდა დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა, მათ შორის: პროგრამის ხელმძღვანელთან, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან. ვიზიტის პროცესში ექსპერტთა ჯგუფს მიეცა შესაძლებლობა ონლაინ რეჟიმში დაეთვალიერებინა დაწესებულების სასწავლო ინფრასტრუქტურა და ბიბლიოთეკა. გადამოწმდა წიგნების ხელმისაწვდომობა. დაწესებულებამ, თავის მხრივ, უზრუნველყო მშვიდ აკადემიურ გარემოში ვიზიტის პროცესის განხორციელება.
შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
ექსპერტთ აჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციე ბი:

1. რეკომენდებულია გადახედილი იქნეს სავალდებულო საბაზისო სასწავლო კურსების: მენეჯმენტის საფუძვლები, მარკეტინგის საფუძვლები, ლიდერობის საფუძვლები, ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები, მეწარმეობა, ბიზნეს კომუნიკაციები და ფინანსების საფუძვლები მონაწილეობის საკითხი პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცებაში;
2. რეკომენდებულია პროგრამისთვის ცალკე იყოს გაწერილი სამიზნე ნიშნულები, რათა შესაძლებელი იყოს პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის შეფასების შედეგების მონიტორინგი და მათი დადარება სამიზნე ნიშნულებთან;
3. რეკომენდებულია სასწავლო კურსს ,,ოპერაციების მართვა“ შეეცვალოს სტატუსი და გახდეს პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსი;
4. რეკომენდებულია ზოგიერთი სასწავლო კურსის (მაგალითად: ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები, საგარეო ვაჭრობა და პოლიტიკა) შინაარსის სრულყოფა. ასევე ზოგიერთ სასწავლო კურსში (მაგალითად: ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები, ბიზნეს კომუნიკაციები, მეწარმეობა, ბიზნესის კვლევის მეთოდები, მარკეტინგის საფუძვლები, მეწარმეობა, ორგანიზაციული განვითარება, პროექტების მენეჯმენტი) საჭიროა სწავლის შედეგების დახვეწა, განვრცობა საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით;
5. რეკომენდებულია ,,საბაკალავრო ნაშრომისა“ და ,,პრაქტიკისათვის“ დაკონკრეტდეს მოსალოდნელი სწავლის შედეგები და სრულად იქნეს აღნიშნული გათვალისწინებული პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცების ნაწილში, პროგრამის სასწავლო კურსების და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკაზე;
6. რეკომენდებულია ერთმანეთთან შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი სასწავლო კურსების სილაბუსები, კერძოდ, საჭიროა, ქართულენოვანი სილაბუსები მოვიდეს შესაბამისობაში ინგლისურენოვან სილაბუსებთან.
7. რეკომენდებულია ცალკეულ სასწავლო კურსებში (ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები, მარკეტინგის საფუძვლები, ბიზნესის სტატისტიკა 1 და 2, მომხმარებლის ქცევა, ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები და .აშ.), გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურის განახლება არსებული უახლესი გამოცემებით, გარდა ამისა საჭიროა ყველა იმ სასწავლო კურსის სილაბუსში, სადაც არ არის დაკონკრეტებული გამოყენებული ლიტერატურის გამოცემის წლები, მოხდეს მათი გამოცემის წლების იდენტიფიცირება;

შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტმა ალტერბრიჯმა წარმოადგინა თავისი პოზიცია „ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასკვნის პროექტში მოყვანილ გარემოებებთან დაკავშირებით. წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაში მოყვანილი გარემოებების გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა დასკვნის პროექტში არსებულ რეკომენდაციებზე და მიზანშეწონილად მიიჩნია, მე-2 სტანდარტის 2.1 კომპონენტის შეფასების კორექტირება, კერძოდ, შეფასება განისაზღვრა როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, ნაცვლად მეტწილი შესაბამისობისა. შესაბამისად, მოცემულ კომპონენტში არსებულმა რეკომენდაციამ გადაინაცვლა რჩევებში. დასკვნის პროექტში არსებული სხვა რეკომენდაციები არ შეცვლილა.
აღსანიშნავია ასევე, რომ სასწავლო უნივერსიტეტის ორგანიზებითა და სრული დაფინანსებით ტრენინგებსა და სემინარებს ახორციელებს “ინოვაციური განათლების ცენტრი“ და ,,ალტებრიჯის ტრენინგ ცენტრი“. აღნიშნულ ტრენინგებსა და სემინარებზე აკადემიური პერსონალი ღებულობს მნიშვნელოვან კომპეტენციას სწავლის და სწავლების თანამედროვე მეთოდების შესახებ (შერეული სწავლება, დისტანციური სწავლება და სხვა), რომელთა დანერგვა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს პროგრამის წარმატებულ განხორციელებაში. ტრენინგების ციკლი მოიცავს შემდეგ თემებს: აკრედიტაციისთვის საგანმანათლებლო პროგრამის მომზადება; კვლევის და კვლევითი პროექტების სწორად დაგეგმვა და

განხორციელება; აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების განვითარება. იგეგმება ასევე აკადემიური პერსონალისთვის ახალი ტრენინგ მოდულების შექმნა და ტრენინგების ჩატარების ორგანიზება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფსა და საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ ბიზნეს ადმინისტრირების პროგრამა არის დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმის ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილი. პროგრამაზე მუშაობა დაიწყო 2020 წლის დასაწყისში. დაწესებულებამ ჩაატარა საკმაოდ მნიშვნელოვანი ხუთ კომპონენტიანი შრომის ბაზრის კვლევა. ინსტიტუციამ თავდაპირველად მუშაობა დაიწყო არაფორმალური განათლების კუთხით, შესაბამისად, საკმაოდ მჭიდრო კავშირი აქვს დამსაქმებელთან. აქედან გამომდინარე დაწესებულება ორიენტირებულია იმაზე, რომ პროგრამა მიმართული იყოს დამსაქმებლის მოთხოვნილებებსა და საჭიროებებზე. შრომის ბაზრის კვლევამ და დაწესებულების მიერ განხორციელებულმა ანალიზმა ასევე ცალსახად გამოკვეთა, რომ პროგრამა უნდა ყოფილიყო ინგლისურენოვანი. მნიშვნელოვანია ასევე, რომ პროგრამა დაკომპლექტებულია ახალგაზრდა, აქტიური და საინტერესო პერსონალით, რომელთა ერთადაც განხორციელდა პროგრამის შემუშავება. ამასთან პროგრამაზე მუშაობის პროცესში შესწავლილი იქნა არსებული პრაქტიკა და სხვა ანალოგიური პროგრამები.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებზე და პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხი განხილული იყო საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული პერსონალის მიერ და სასწავლო კურსები, რომლებშიც ისწავლება საფუძვლები გაცნობის დონეზე მოხდა ჩანაცვლება, როგორც სილაბუსებში, ასევე სწავლის შედეგების რუქებში. შესაბამისად, რეკომენდაცია მიღებულია.

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტი ,,სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი“, რომლის ერთ-ერთ დანართში გაწერილია სამიზნე ნიშნულები, სადაც მკაფიოდაა გაწერილი სამიზნე ნიშნულებთან სწავლის შედეგების შეფასების დადარების მექანიზმი. ვინაიდან ამ ეტპაზე ,,ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა არ ხორციელდება ეს პროცესი იგეგმება (აკრედიტაცის მიღების შემთხვევაში). თუმცა ეს პრაქტიკა დანერგილია და ხორციელდება უკვე არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.

მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში, მიღების წინაპირობის ნაწილში არსებობს ჩანაწერი ინგლისურ ენაში B2 დონის ფლობის აუცილებლობა. ასევე დაწესებულების დოკუმენტში ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი“ მუხლი 2.3. მინიშნებულია ჩანაწერი: ,,2.3. უმაღლესი აკადემიური განათლების პირველ საფეხურზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მოპოვების მქონე პირთა დაწესებულებაში ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის და სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მიერ დამტკიცებული ,,სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის შესაბამისად“. გარდა ამისა დაწესებულებაში არსებობს ,,სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესი“, რომელშიც დეტალურად გაწერილია თუ რომელ სერტიფიკატებს უღიარებს დაწესებულება პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებს. ორივე დოკუმენტი განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. გარდა ამისა ენობრივი კომპეტენციის დადგენა განხორციელდება მემორანდუმის საფუძველზე ,,English Book Education”-თან ყველა დადგენილი წესის დაცვით.აღნიშნული მემორანდუმი წარმოდგენილი იყო დოკუმენტაციაში. ამასთან მომზადდება ,,ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კატალოგი, რომელშიც ყოველივე ზემოთ ხსენებული გაწერილი იქნება.

მნიშვნელოვანია ასევე დაწესებულების პოზიცია მე-4 რეკომენდაციასთან დაკავშრებით, კერძოდ აღნიშნული რეკომენდაცია ამ ეტპაზე უკვე გათვალისწინებულია და სასწავლო კურსი ,,ოპერაციების მართვა“ გადატანილია ძირითადი სწავლის სფეროს სავალადებულო ბლოკში. აღნიშნული ცვლილება დამტკიცებულია დადგენილი წესით (განხილულია მართვისა და კომუნიკაციის სკოლის საბჭოს ოქმით და დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს დადგენილებით).

რაც შეეხება მე-5 რეკომენდაციას, აღნიშნული რეკომენდაცია მიღებულია და ეს თავისთავად აჯანსაღებს საგანმანათლებლო პროგრამას, რაც თავისთავად აკრედიტაციის პროცესის დანიშნულებაა. აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ (ვინადიან ვიზიტის პროცესში ამ საკითხზე იყო დისკუსია პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან) მოხდა განხილვა და შესაბამისად დაიხვეწა სწავლის შედეგები ზემოთ ჩამოთვლილი სასწავლო კურსების განმახორციელებლი პერსონალის მიერ.

მნიშვნელოვანია, რომ მე-6 რეკომენდაცია მიღებულია და ეს თავისთავად აჯანსაღებს საგანმანათლებლო პროგრამას, რაც თავისთავად აკრედიტაციის პროცესის დანიშნულებაა. აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ (ვინადიან ვიზიტის პროცესში ამ საკითხზე იყო დისკუსია პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან) მოხდა განხილვა და შესაბამისად დაიხვეწა სწავლის შედეგები ზემოთ ჩამოთვლილი სასწავლო კურსების განმახორციელებლი პერსონალის მიერ.

დაწესებულების მიერ ასევე გათვალისწინებულია და სწავლის შედეგების რუქებში სასწავლო კომპონენტების: ,,საბაკალავრო ნაშრომი“ და ,,პრაქტიკა“ მოსალოდნელი სწავლის შედეგები. დაკონკრეტებულია და სრულად გათვალისწინებული პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცების ნაწილში, პროგრამის სასწავლო კურსების და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ რამოდენიმე სილაბუსში ძირითად ლიტერატურად განსაზღვრულია კანონები, შესაბამისად მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს საკითხის დაზუსტებისკენ.

გარდა ამისა აღსანიშნავია, რომ გადასახადი არის 5900 ლარი, შესაბამისად დაინტერესდა არის თუ არა თვითგამოსყიდვის ანალიზი გაკეთებული, ანუ რა იქნება მინიმალური რაოდენობა სტუდენტებისა, როდესაც პირველად გაიხსნება ჯგუფი. გარდა ამისა უნდა აღინიშნოს, რომ 2007-2008 წლის სახელმძღვანელოები არ არის ახალი ლიტერატურა განსაკურებით უცხოენოვანი.

რაც შეეხება ,,საგარეო ვაჭრობასა და ვაჭრობის პოლიტიკას“, მოცემული სასწავლო კურსი პირდაპირ იწყება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციებით. მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო კურსის სახელწოდება და მისი შინაარსი შესაბამისობაში მოდიოდეს ერთმანეთთან. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მე-8 სემესტრში არის ერთი საგანი, რომელიც არის არჩევითი, თუმცა როგორ შეიძლება იყოს არჩევითი როცა წარმოდგენილია მხოლოდ ერთი საგანი. საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა თუ როგორ მოხდა ლექტორების მიერ ინგლისურად ლექციების ჩატარების უნარის შემოწმება.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა დააზუსტა თუ რამდენად რელევანტურია, ,,მენეჯმენტის საფუძვლები“, ,,ლიდერობა“, ,,ადამიანური რესურსები და პროექტების მართვა“ მოიცავდეს 6 კრედიტს, ხოლო ,,მიკრო ეკონომიკა“ და ,,მაკრო ეკონომიკა“ მოიცავდეს 4 კრედიტს, თან თუ მოხდება ცალკეულ კურსებთან დადარება, რიგი საკითხები მეორდება, თუმცა არის მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც კურსების ფარგლებში საერთოდ არ იფარება. მნიშვნელოვანია თუ სად იფარება სტრატეგიული მართვის საკვანძო საკითხები. ასევე საინტერსოა ლიდერობისა და კომუნიკაციის სწავლების საკითხიც. ასევე საინტერესოა სად იფარება კადრების მოძიებისა და ცვლილებების საკითხები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა ძირითად ლიტერატურასთან დაკავშირებით განმარტა, რომ კანონების მითითება ძირითად ლიტერატურად შეიძლება არ იყოს რელევანტური, თუმცა მოცემულ შემთხვევაში, რადგან საქმე ეხება საგადასახადო საქმეს ინგლისურენოვანი ლიტერატურა კანონის გარდა სამწუხაროდ არ მოიპოვება, ამიტომ მოცემულ შემთხვევაში მითითება არ წარმოადგენს ხარვეზს.

რაც შეეხება კრედიტების განაწილებას, ექსპერტებმა არ ჩათვალეს საჭიროდ რომ აღნიშნული შეეზღუდათ დაწესებულებისთვის. გარკვეულ წილად სასწავლო კურსები ფარავენ იმ საკითხებს რაც მოეთხოვებათ, თუმცა, სტრატეგიულ საკითხებთან მიმართებით არსებობდა გარკვეული შეკითხვები, მაგრამ პროგრამაში არის ,,მცირე და საშუალო ბიზნესის მართვა“ სადაც მოცემულია სტრატეგიული საკითხები. რაც შეეხება ლიდერულ და კომუნიკაციის საკითხებს აღნიშნული მეორდება საკმაოდ ხშირად, თუმცა რაკურსები სხვადასხვაა. რა თქმა უნდა შეიძლებოდა საკითხის უკეთ წარმოჩენა, თუმცა დაწესებულებას მოცემულთან დაკავშირებით აქვს თავისი ხედვა.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ ზოგიერთი სილაბუსი ჩაშლილია ცოდნა-უნარების მიხედვით, ხოლო ზოგში კომპეტენციები წარმოდგენილია ინტეგრირებულად. შესაბამისად საბჭოს წევრი დაინტერესდა აღნიშნული წარმოადგენს ტექნიკურ ხარვეზს, თუ დაწესებულების მიდგომა არის მსგავსი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ პროგრამა შედგება ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო, ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი და თავისუფალი კომპონენტისგან. აკრედიტაციის შემთხვევაში შეიქმნება სტუდენტებისთვის კატალოგი, რომ სტუდენტებმა აირჩიონ მათთვის სასურველი სასწავლო კურსი.

რაც შეეხება ინგლისური ენის კომპეტენციას, გარდა კანონმდებლობის მოთხოვნებისა, როგორიცაა ენის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი და გამოცდილება, უნივერსიტეტის კონკურსის მოთხოვნა იყო ლექციების წაკითხვის გამოცდილება ინგლისურ ენაზე და გასაუბრება, რომლის დროსაც აპლიკანტებს უნდა ჩაეტარებინათ მოდიფიცირებული ლექცია. მნიშვნელოვანია ასევე ისიც, რომ კომისიაში შესული იყო ადამიანი, რომელიც იყო დარგის სპეციალისტი და თავისუფლად ფლობდა ინგლისურ ენას.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ლიტერატურასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ლიტერატურა ნამდვილად მოძველებულია მოცემულის სფეროსთვის და სწორედ აქ შემოდის მზაობა ინსტიტუციის მხრიდან, რომ მოხდეს ლიტერატურის ჩანაცვლება და განახლება.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ბიუჯეტი გაწერილია 25 სტუდენტზე, თუმცა უნივერსიტეტი ფინანსურად საკმაოდ მდგრადია და მზადაა თუნდაც 5 სტუდენტითაც დაიწყოს პროგრამა. უნივერსიტეტის მდგრადობას უზრუნველყოფს დამფინანსებლები და ასევე დაწესებულებას აქვს ფაშა ბანკთან დადებული ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც განსაზღვრულია 3 მილიონიანი საკრედიტო ხაზი.

დაწესებულება ასევე მუდმივად ცდილობს სახელმძღვანელოების გამოცემას, ახორციელებს მათ თარგმნასა და ამ პროცესების დაფინანსებას.

საბჭოს წევრმა გიორგი ღაღანიძემ ასევე აღნიშნა, რომ პროგრამაში განსაზღვრული კალკულუსის სასწავლო კურსი შედარებით მარტივია, ვიდრე სტანდარტული ბიზნეს ადმინისტრირების პროგრამებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა სასწავლო კურსებზე და აღნიშნა, რომ ,,საგარეო ვაჭრობის“ კურსი არის არჩევითი სასწავლო კურსი. მნიშვნელოვანია, რომ კურსის შინაარსი და დასახელება შეთანხმებულია კოლეგიალურად და ამომავალი წერტილი მოცემულ შემთხვევაში იყო კონკრეტული სასწავლო კურსის ავტორის თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება.

აღსანიშნავია ასევე, რომ ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსის

სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, რომელიც მოიცავს ძირითადი სწავლის სფეროს როგორც სავალდებულო, ისე არჩევით სასწავლო კურსებს, პრაქტიკის კომპონენტს 10 კრედიტი და კვლევის კომპონენტს 10 კრედიტი (საბაკალავრო ნაშრომი). ყოველი სასწავლო კურსის/კომპონენტის შინაარსი და კრედიტების მოცულობა შეესაბამება კონკრეტული კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. ასევე ადეკვატურია საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა და ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას. თუმცა რა თქმა უნდა საბჭოს წევრთა რჩევები და რეკომენდაციები იქნება გათვალიწინებული.
რაც შეეხება სტრატეგიულ ელემენტებს, ,,ადამიანური რესურსების" სასწავლო კურსში სრულიად არის დაფარული სტრატეგიული საკითხები, გარდა ამისა, ნაწილობრივ საკითხები მოცემულია ასევე ,,ლიდერობის" სასწავლო კურსში. ვინაიდან ეს კურსები ერთობლივად იქნა განხილული არ ნიშნავს იმას, რომ მასში მოცემული საკითხებიც მსგავსი შინაარსით, სიღრმითა და ინტენსივობით განიხილება. აღნიშნული სასწავლო კურსების სხვადასხვა. რაკურსით ფარავენ სტრატეგიული მენეჯმენტის საკითხებს.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ საკითხები ხშირ შემთხვევაში მეორდება, თუმცა აუცილებელი სტრატეგიული და ლიდერული თემატიკა რომელიც უნდა ყოს განხილული სილაბუსების მიხედვით არ ჩანს. საკითხები მუდმივად მეორდება ზოგადი პრინციპების დონეზე.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ გასწორდება გარკვეული დუბლირებები და რიგ შემთხვევებში 6 კრედიტის მაგივრად განისაზღვრება 4 კრედიტი, პრობლემა აღმოფხვრილი იქნება. შესაბამისად მნიშვნელოვანია ,,ბიზნეს სტრატეგიის პრინციპებს" შეეცვალოს სტატუსი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყებისდრო: 21:16
დასრულებისდრო: 21:40
√ აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.
კერძოდ საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის 5.1 ქვესტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან".

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა . შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 4 წლის ვადით 6 თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:
რეკომენდაციები:
1. რეკომენდებულია, გადახედილი იქნეს საბაზისო სავალდებულო სასწავლო კურსების: მენეჯმენტის საფუძვლები, მარკეტინგის საფუძვლები, ლიდერობის საფუძვლები, ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები, მეწარმეობა, ბიზნეს კომუნიკაციები, ფინანსების საფუძვლები და ა.შ. მონაწილეობის საკითხი პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცებაში

2. რეკომენდებულია, პროგრამისთვის ცალკე იყოს გაწერილი სამიზნე ნიშნულები, რათა შესაძლებელი იყოს პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის შეფასების შედეგების მონიტორინგი და მათი დადარება სამიზნე ნიშნულებთან;
3. რეკომენდებულია სასწავლო კურსს ,,ოპერაციების მართვა“ შეეცვალოს სტატუსი და გახდეს პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსი;
4. რეკომენდებულია ზოგიერთი სასწავლო კურსის (მაგალითად: ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები, საგარეო ვაჭრობა და პოლიტიკა, კალკულუსი ბიზნესისთვის) შინაარსის სრულყოფა. ასევე ზოგიერთ სასწავლო კურსში (მაგალითად: ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები, ბიზნეს კომუნიკაციები, მეწარმეობა, ბიზნესის კვლევის მეთოდები, მარკეტინგის საფუძვლები, მეწარმეობა, ორგანიზაციული განვითარება, პროექტების მენეჯმენტი) საჭიროა სწავლის შედეგების დახვეწა, განვრცობა საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით;

5. რეკომენდებულია, ,,საბაკალავრო ნაშრომისა“ და ,,პრაქტიკისათვის“ დაკონკრეტდეს მოსალოდნელი სწავლის შედეგები და სრულად იქნეს აღნიშნული გათვალისწინებული პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცების ნაწილში პროგრამის სასწავლო კურსების და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკაზე;

6. რეკომენდებულია, ერთმანეთთან შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის სასწავლო კურსების ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი სასწავლო კურსების სილაბუსები, კერძოდ, საჭიროა ქართულენოვანი სილაბუსები მოვიდეს შესაბამისობაში ინგლისურენოვან სილაბუსებთან.

7. რეკომენდებულია ცალკეულ სასწავლო კურსებში (ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები, მარკეტინგის საფუძვლები, ბიზნესის სტატისტიკა 1 და 2, მომხმარებლის 19 ქცევა, ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები და .აშ.), გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურის განახლება არსებული უახლესი გამოცემებით, გარდა ამისა, საჭიროა ყველა იმ სასწავლო კურსის სილაბუსში, სადაც არ არის დაკონკრეტებული გამოყენებული ლიტერატურის გამოცემის წლები მოხდეს მათი გამოცემის წლების იდენტიფიცირება;

8. რეკომენდირებულია რიგი სასწავლო კურსების გადახედვა დუბლირებების აღმოფხვრის მიზნით და ზოგიერთი სასწავლო კურსის სტატუსის ცვლილება პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად.

9. რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად.

რჩევები:

1. სასურველია პროგრამის სწავლის შედეგების ამსახველ რუკაზე ფიგურირებდეს მხოლოდ პროგრამის სავალდებულო კომპონენტები, ხოლო თუ დაწესებულებას სურს პროგრამის არჩევით/თავისუფალ კომპონენტებთანაც მიმართებითაც განახორციელოს პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობის დადგენა, ზედმეტი გაურკვევლობების თავიდან აცილების მიზნით შესაძლებელია ასეთი დოკუმენტის ცალკე მომზადება

2. სასურველია პროგრამაში მეტად დაკონკრეტდეს პროგრამაზე მიღების წინაპირობა უცხო ენის ნაწილში, კერძოდ, მიეთითოს შიდა გამოცდის ჩაბარების აუცილებლობა ან პროგრამაშივე განისაზღვროს თუ რომელ სერტიფიკატებს უღიარებს დაწესებულება პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებს; ასევე მითითებულ იქნეს, რომ უცხო ენაში B2 დონის კომპეტენციის დაუდასტურებლობა აბიტურიენტთა მიერ, წარმოადგენს ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველს.

3. სასურველია, საბაკალავრო ნაშრომი, რომელიც თავისი კვლევითი ხასიათის მიუხედავად, პროგრამის სასწავლო კომპონენტია, შეფასებული იქნეს მხოლოდ საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ, მოხდეს მისი შემოწმება უნივერსიტეტში არსებული ანტიპლაგიატის პროგრამაზე ,,თურნითინი“ და წარდგენილი იქნეს დასკვნითი შეფასებისათვის კომისიის წინაშე;

4. სასწავლო კურსში ლიდერობის საფუძვლები პრეზენტაციის უნარების შეფასებისას გამორჩენილია ერთ-ერთი შეფასების ბიჯი, კერძოდ ბუნდოვანია რა შემთხვევაში ხდება 1-2 ქულის მიღება მოცემულ კომპონენტში, გამომდინარე აქედან სასურველია აღნიშნული ტექნიკური ხარვეზის დაკორექტირება.

5. სასურველია დროულად განხორციელდეს ბიზნეს კომუნიკაციების სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული ლიტერატურის სრული სინქრონიზაცია ბიბლიოთეკის ელ. ბაზებთან.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის „ბიზნეს ადმინისტრირების ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით, ექვსი თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ